# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 248

„16" აგვისტო 2019 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის -ქონების მართვის სააგენტოს, 2018 წლის 17 ოქტომბრის პირობებით გამოცხადებული აუქციონის Nე-428-26-22761 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ზ" ქვეპუნქტის, $127^2$ მუხლის მე-2 პუნქტის, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის-ქონების მართვის სააგენტოს, 2018 წლის 17 ოქტომბრის პირობებით გამოცხადებული აუქციონის Nე-428-26-22761 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 31 ივლისის №19.819.1070 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. გაუქმდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის-ქონების მართვის სააგენტოს, 2018 წლის 17 ოქტომბრის პირობებით გამოცხადებული აუქციონის Nე-428-26-22761 ხელშეკრულების „ზ" პუნქტით გათვალისწინებული პირობა „მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარება განხორციელდეს ჩარჩო გეგმის ფარგლებში".

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე